სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№EU/ST/23

ქ. თბილისი 20 მაისი 2011 წ.

<u>ერთის მხრივ,</u> სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (მისამართი: ქ. თბილისი, მისამართი: მ. ასათიანის ქ. №9, საიდენტიფიკაციო კოდი 211324351, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კ 220101757, ა/ა 102531545506), (შემდგომში – **“შემსყიდველი”**)

<u>მეორეს მხრივ,</u> **საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „SOCO“** (მისამართი: ქ. თბილისი 0108, ბარნოვის ქ. №9, საიდენტიფიკაციო კოდი 211373039, საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22830, ა/ა GE67 TB06 0000 0001 7006 35), (შემდგომში – **„მიმწოდებელი“**) შორის.

1 ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2 ხელშეკრულების ობიექტი, კლასიფიკატორის კოდი და ღირებულება

2.1 ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში ახორციელებს მომსახურების შესყიდვას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობის კამპანიისთვის ვიდეოჩანაწერის წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებებს (შემდგომში „მომსახურება“), საერთო თანხაზე 4,980.00 (ოთხიათას ცხრაასოთხმოცი) ლარი.

2.2 ხელშეკრულების ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტია 92112000 – მომსახურება, დაკავშირებული ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოებასთან, რომლებიც ემსახურება ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას, რაც პასუხობს „მიმწოდებლის” მიზნებს.

3 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

3.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიში გაწეული მომსახურების შესაბამისად ორ ეტაპად.

3.5 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

4 ხელშეკრულების ობიექტის მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2 ეტაპად 2011 წლის 30 სექტემბრამდე.

4.2 მომსახურების განხორციელების I ეტაპზე მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის კამპანიისთვის ვიდეორგოლის პროექტი - 2011 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო II ეტაპზე დასრულებული სახით (ელექტრონული ფორმით) 2011 წლის 30 სექტემბრამდე.

4.3 ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

4.4 მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი იძლევა გაწეული მომსახურების ღირებულების მოთხოვნის საფუძველს.

5 ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, ეროვნულ ვალუტა ლარში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2 ეტაპად, გაწეული მომსახურების საფუძველზე, <u>მიღება-ჩაბარების</u> აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში. პირველ ეტაპზე მიმწოდებელს აუნაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი მომსახურების დასრულების შემდეგ.

6 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის

მირ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და დამატებითი ვადის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 20 ოქტომბრამდე.

8 ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, დაუძლეველი ძალის ზემოქმედება და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ოთხ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს ევროკავშირის პროექტის შესყიდვების უფროსი

სპეციალისტი ნატო დვალი., რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების (მთლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

11 დამატებითი პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ფონდი „SOCO“, სსიპ "ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი", ევროკავშირი). ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „SOCO“
გენერალური დირექტორი ნატო ავალიანი	დამფუძნებელი და დირექტორი სანდრა ელისაბედ რულოვსი